


მე-6 კლასი

1. ქეთო 7 წლის წინ 6 წლის იყო. რამდენი წლის შეიძლება იყოს ის 5 წლის შემდეგ?

A. 11

B. 15

C. 18



2. ნინომ უცნაური კრისტალი იპოვა, რომლის ცენტრზე გაჭრითაც ორი პირამიდა მიიღება. რა იქნება თითოეული პირამიდის ფუძის ფართობი თუ ვიცით რომ მისი ფუძე კვადრატია, ხოლო გვერდები ტოლგვერდა სამკუთხედები, რომელთა გვერდის სიგრძე 3 სანტიმეტრია.

A. 9 კვ.სმ.

B. 14 კვ.სმ

C. ვერ დავადგენთ

3. ჩამოთვლილთაგან რომელი სიგრძის ლენტს ვერ მივიღებთ 64 სმ სიგრძის მქონე ლენტის თანაბარი ზომის ლენტებად დაჭრით?

A. 8 სმ

B. 14 სმ

B. 32 სმ

4. სასწორი გაწონასწორებულია, როდესაც სასწორის ერთ მხარეს ერთი ლიმონი და ორი ფორთოხალი, ხოლო მეორე მხარეს ერთი ასეთივე ფორთოხალი და ორი ასეთივე ლიმონია. რომელი უფრო მძიმეა, ასეთივე ფორთოხალი თუ ასეთივე ლიმონი?

A. ფორთოხალი

B. ლიმონი

C. წონები თანაბარია

5. რამდენი 4-იანი შეგვხვდება, თუ ამოვიწერთ მიმდევრობით ყველა რიცხვს 1-დან 48-ის ჩათვლით?

A. 7

B.11

C. 14

6. რომელი უფრო გრძელია წრეში?

A. დიამეტრი
თანაბარია

B. სექტორის მდგენელ მონაკვეთის სიგრძეთა ჯამი

C.

7. რა ფართობი აქვს მართკუთხა სამკუთხედს, რომელიც იმ მართკუთხედის ნახევარია, რომლის გვერდები 5 და 10 სმ-ის ტოლია?

A. 50 კვ.სმ

B. 25 კვ.სმ

C. 12.5 კვ.სმ

8. ვანოს ხელფასი ახლა 1600 ლარია, ვიცით რომ ის გასულ თვესთან შედარებით 20%-ით შემცირდა. რამდენი ლარით მეტი ხელფასი ჰქონდა ვანოს გასულ თვეს?

A. 2000 ლარით

B. 1920 ლარით

C. 400 ლარით

9. უცნობი რიცხვი ჯერ გაადიდეს, მერე მას დაუმატეს 95, მიღებული შედეგი გაყვეს 8-ზე და მიიღეს 2022. იპოვეთ უცნობი რიცხვი.

A. 2068

B. 20196

C. დადგენა შეუძლებელია

10. კუბის ყველა წიბო, როგორც იცით, ტოლია. რა სიგრძისაა თითოეული, თუ ყველა წიბოს ჯამი 36 სმ.-ია?

A. 2 სმ

B. 3 სმ

C. 6 სმ